ხელშეკრულება №14/11/3

ქ. თბილისი

14 ნოემბერი 2017 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“, წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის **ნინო ნახუცრიშვილის** სახით (შემდგომ- „შემსყიდველი”) და მეორე მხრივ **შპს „ახალი ნათება“**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ზურაბ გაბინაშვილის** სახით (შემდგომ-„მიმწოდებელი”), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით „მიმწოდებელი” გადასცემს „შემსყიდველს” 30 ც. 40W. ნათურას (ერთეულის ღირებულება 19.90 ლარი, სულ 597 ლარი) და 30 ც. კერამიკის ელ. ვაზნა (ერთეულის ღირებულება 0.90 ლარი, სულ 27 ლარი) (CPV-31500000) (შემდგომ–„საქონელი“). (დაფინანსების წყარო – საკუთარი სახსრები)

1.2. 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ა) პუნქტის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 624 ლარი.

3. შესყიდვის საქონლის ხარისხი

3.1. „მიმწოდებელი” ვალდებულია „შემსყიდველს” გადასცეს ისეთი „საქონელი“, რომელიც შეესაბამება საქართველოში მოქმედ ხარისხის ნორმებს და სტანდარტებს.

4. მიღება - ჩაბარების წესი

4.1. „საქონლის“ მიღება ფორმდება საქონლის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

5.1. „საქონელი” მოწოდებულ უნდა იქნას არაუგვიანეს 2017 წლის 17 ნოემბრისა.

5.2. „შემსყიდველს” მიეწოდება იმ რაოდენობის და ღირებულების „საქონელი“, რომელიც მითითებულია ანგარიშ-ფაქტურაში.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. „საქონლის“ ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.2. „მიმწოდებელთან” ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

6.3. ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება – ჩაბარების” აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

7.1. „შემსყიდველი” და „მიმწოდებელი” მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის სრული დაცვით.

7.2. „შემსყიდველს” უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის” მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

7.3. „მიმწოდებელი” ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელიც სცილდება მხარეთა კონტროლს და რომლის მოქმედებაც არ არის დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე.

9.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

10. ხელშეკრულების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 დეკემბრამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. „მიმწოდებლის” მიერ „საქონელზე” ფასების შეცვლის შემთხვევაში საკითხი გადაწყდება მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს

წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. დავა

12.1 მხარეებს შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

12.2 მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანასწორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი"

მის.: თბილისი. დ. აღმაშენებლის გამზ. №182
საიდენტ. კოდი 205065196
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი
სახელმწიფო ხაზინა
მიმ. დას.-ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TREGE22
ა/ა 7 0808 7162

„მიმწოდებელი"

შპს „ახალი ნათება"

მის.: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №25ა
საიდენტ. კოდი 202066156
საბანკო რეკვიზიტები:
სს „პროკრედიტ ბანკი"ც/ფ
კოდი: MIBGGE22
ა/ა GE74PC0053600100013179

საკონტ. ტელ.: 2 202424 (156)

გენერალური მენეჯერი

.. ..

ნინო ნახუცრიშვილი

გენერალური დირექტორი

.. ..

ზურაბ გაბინაშვილი